საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 50

04 04 2016 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აპრილის N03/2065 წერილის განხილვის შესახებ**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აპრილის სხდომის N7 ოქმის მე-15 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აპრილის N03/2065 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 1 აპრილის N916-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ქვემო ქართლის სამმართველოს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობაში გადასცეს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N71-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი: N83.02.23.157) არსებული 2 ოთახი (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ყოფილი ფართიდან).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე